# ლადო პაპავა:
# “ხელისუფლებამ შეიძლება ომი დაიწყოს”

გაზეთი “ახალი თაობა” – 28 ნოემბერი, № 282, 2011

**ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში ლადო პაპავას ეჭვი ეპარება, რომ სააკაშვილის ხელისუფლება აგონიაში იყოს. პაპავა ამას უფრო შემდგომ ეტაპზე ელის და არც იმას გამორიცხავს, რომ მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის შიგნით მდგომარეობა საომარ ვითარებამდე მიიყვანოს და რუსეთთან ომის საფრთხე შექმნას.**

**ექსპერტი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი სერიოზული ბრძოლისთვის ემზადება; რომ სააკაშვილი ქვეყნის შიგნით პირველკაცობის დამთმობი არ არის და სამომავლო სცენარებს შორის ამერიკაში გაქცევასაც განიხილავს დევნილი პრეზიდენტის სტატუსით.**

**რომელი ოპოზიციური ძალები შეიძლება გადააგდოს სააკაშვილმა და დადგება თუ არა მთავრობის ნდობის საკითხი პარლამენტში? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ ლადო პაპავასთან.**

**– ბატონო ლადო, ფაქტია, „ქართუ ჯგუფზე“ განხორციელებული სახელისუფლო წნეხი, რაც ექსპერტების მხრიდან, ჩვეულებრივ ყაჩაღობად შეფასდა, საბანკო ასოციაციის და კომერციული ბანკების ხელმძღვანელების მხრიდან ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ხორციელდება.**

– დავიწყოთ იმით, რომ აქვს თუ არა „ქართუ ბანკს იმის უფლება, რომ ასე იფიქროს: რა თქმა უნდა, აქვს. იმიტომ, რომ აქამდე რაც კეთდებოდა, ეს ზეწოლა რაც იყო – ეროვნული ბანკიდნ, საქართველოს მთავრობიდან „ქართუ ბანკზე“, ეს იყო მიზანმიმართული, რათა ბანკს პრობლემები შექმნოდა. როდესაც ორიოდე წლის წინ ამ საკანონდებლი ცვლილებაზე ხმა აიმაღლეს ეროვნულმა ბანკმა და საბანკო ასოციაციამ, მათი ქმედება გასაგები იყო. ახლა დუმან, რატომ? საბანკო ასოციაცია, რომლის ხელმძღვანელს ვიცნობ და მართლაც ღირსეული პიროვნებაა, რატომ დუმს, ეს ხომ მისი პირადი საქმეა, დაიცვას ბანკების ინტერესები. ნუ ჰგონია ვინმეს, რომ ერთ ბანკს რომ შეექმნება პრობლემა, სხვა ბანკები მშვიდად იქნებიან. პრაქტიკულად, ეს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც

სააღსრულებლო კანონში ივანიშვილის პოლიტიკაში გამოცენის შემდეგ შეიტანეს, არის მომასწავებელი იმისა, რომ საქართველოში გირაოში ჩადებული ქონება, თავის მნიშვნელობას კარგავს. იმიტომ, რომ კერძო ან იურიდიულმა პირმა რომ აიღო სესხი, უფრო უფრო მეტი ქონება ექნება ჩასადები ნაკლები თანხის ასაღებად. ანუ პრაქტიკულად საბანკო პროდუქტი ძვირდება. ეს რა ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს? თუ საბანკო სექტორის განვითარებას ეხმარება? ეს არის პრაქტიკულად დაყაჩარება. ამიტომ ვამბობ: ეროვნული ბანკი სულ უფრო ემსაგვსება "საბანკო ჟანდარმერიას". კიდევ უფრო კურიოზული არის ჩემთვის, რატომ დუმს საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. არსებობენ კი ესენი? საერთოდ საქართველოში არიან? ნოდარ ჯავახიშვილი იძახის, შევხვდი, ველაპარაკე და მათ თავიანთი განცვიფრება გამოთქვესო. რატომ განგაშის ზარს არ ტეხენ, სად არიან დამალულები?!

**– ბანკების დუმილი იმაზე მიანიშნებს, რომ გიორგი ქადაგიძემ იცრუა როცა პარლამენტში განაცხადა, საბანკო სფერო აპოლიტიკურიაო?**

– ნახეთ რა არის: ერთის მხრივ, ქადაგიძე ადანაშაულებს „ქართუ ბანკს", რომ ის არის პოლიტიზებულიო. მეორეს მხრივ, „ქართუ ბანკის" ხელმძღვანელობა ადანაშაულებს ეროვნულ ბანკს, რომ ის არის პოლიტიზებული. მაგრამ ვიმსჯელოთ ფაქტებით: აშკარაა, რომ ფულის გათეთრების ცრუ ბრალდებით ბანკს ართმევენ ფულს; ფაქტია, რომ ორგანიზაციები აიძულეს ამ ბანკიდან გაეტანათ ანგარიშები; ეს ყველაფერი ხდება 7 ოქტომბრის მერე ანუ ფაქტები ადასტურებს, რომ პოლიტიკური ინსტრუმენტი არის შექმნილი „ქართუ ბანკის" წინააღმდეგ ეროვნული ბანკის მიერ. თუ ეროვნული ბანკი „ქართუ ბანკს" პოლიტიკურ სივრცეში ებრძვის, რა ქნას „ქართუ ბანკმა" – ჩუმად უნდა იყოს და ჩაიძიროს?! არა. ამ შემთხვევაში იმაზე უკეთესი გადაწყვეტილება, ვიდრე ნოდარ ჯავახიშვილი გამხდარიყო „ქართუ ჯგუფის" პრეზიდენტი, მე ვერ ვხედავ. ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო. ჯავახიშვილი არის ცნობილი მებრძოლი კაცი, რომელსაც სახელი აქვს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც.

**– სადამდე შეიძლება წავიდეს ხელისუფლების წნეხი ივანიშვილის ბანკთან მიმართებაში?**

– არა მარტო ამ ბანკის წინააღმდეგ შეიძლება გაგრძელდეს მოქმედებები, თვითონ ბიძინა ივანიშვილის წინაადეგ და, საერთოდ, ქართველი ხალხის წინააღმდეგ. შეგვიძლია ყველაფერი მოვიფიქროთ, რაც მათ ტვინში იხარშება? შეუძლებელია.

**– ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბანკებს დაუარეს და გააფრთხილეს, ეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც სააღსრულები კანონში შევიდა, თქვენ არ შეგეხებათ. მას მხოლოდ „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ გამოვიყენებთო.**

– ალბათ ჯავახიშვილმა იცის, რომ დაუარეს და უთხრეს. მაგრამ ფაქტია, რომ სხვა ბანკები და საბანკო ასოციაცია დუმს. ბანკები შეიძლება თვითონ ხმას არ იღებდნენ, ეს ძალიან ფაქიზი ინსტიტუტია. მე ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ბანკის ხელმძღვანელები უნდა გამოვარდნენ და ყვიროდნენ. უბრალოდ, ყვირის „ქართუ ბანკი“, იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ აშკარად არის პოლიტიკური დევნა. მაგრამ ბანკების ინტერესების დამცველი უნდა იყოს საბანკო ასოციაცია. ამიტომ ვამბობ, სად არის საბანკო ასოციაცია, რატომ ხმას არ იღებს? საერთოდ, რისთვის არის შექმნილი ეს ასოციაცია?!

**– ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ კულუარებში ამობობენ, ბევრი გასაქცევად ემზადება და ბანკებიდან ფულები გააქვთო. იგრძნობა ხელისუფლების შიგნით სერიოზული პრობლემების არსებობა?**

– ხელისუფლების შიგნით რომ პრობლემებია, ეს იგრძნობა. მაგრამ გასაქცევად ემზადება თუ არა, ამაზე ვერაფერს ვიტყვი. გასაქცევად ემზადებოდნენ და გაქცევის რეჟიმში იყვნენ 2008 წლის აგვისტოში, როცა რუსული ჯარი ლამის თბილისს მოადგა. ეს ყველამ კარგად ვიცით. მაგრამ ახლა ვფიქრობ, ნაადრევია ამაზე საუბარი, რომ ხელისუფლება გასაქცევად ემზადება. პირიქით, ისინი სერიოზული ბრძოლისთვის ემზადებიან. თუმცა სამწუხაროდ, ჯერჯერობით აშკარად აგებენ. მათი მხრიდან გადადგმული ყველა ნაბიჯი არის შეცდომა.

**– აგონიაში მყოფი ხელისუფლების ქმედებაა ეს ყველაფერი?**

– ჯერ აგონიაში არ არიან. მე ვფიქრობ, აგონია წინ გველოდება. ამიტომ, ამ ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. თუნდაც ისეთი რამ, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომი ხელახლა გააჩააღონ.

**– ამაზე სააკაშვილის ხელისუფლება კიდევ წავა?**

– რატომაც არა. თუ ძალიან გაუჭირდა, წავა. საგანგებო მდგომარეობას შემოიღებს და თუ დამარცხდება, ამერიკაში გაიქცევა და პოლიტიკურ თავშესაფარს მიიღებს, როგორც რუსეთისგან დევნილი პრეზიდენტი. რუსეთი რომ ჩვენი მტერია და ოკუპანტია, ეს ხომ ისედაც ვიცით. სააკაშვილი ვითარებას კიდევ უფრო გაამწავავებს და სასურველი სცენარის გათამშება არ გაუჭირდება. თუმცა, ვეჭვობ, რომ რუსები ამაზე წამოვიდნენ. მათ რომ თბილისის აღება სდომბოდათ, 2008 წლის აგვისტოში თბილისი ხელისუფლებისგან დაცლილი იყო. თანაც არა

მგონია რუსები ახლა ასეთ სამხედრო პროვოკაციაზე წამოვიდნენ იმიტომ, რომ მათ საკმაოდ სერიოზულად შეელახათ იმიჯი 2008 წელს. მათთვის საკმარისია ის, რაც აქვთ. მაგრამ თუ ამათ ომი დაიწყეს, რუსებმა ვეჭვობ საზღვარი გადმოლახონ, თუმცა გამორიცხული არაფერია. ეს რეჟიმი აგონიაში შეიძლება ამის გამკეთებელიც იყოს. იმიტომ, რომ თუ სააკაშვილი ქვეყანაში პირველი კაცი ვერ იქნება, შეიძლება მან არჩიოს, რომ იყოს დევნილი პრეზიდენტი და იქ იყოს ამ ფორმით მაინც პირველი კაცი. ეს არის ყველაზე ცუდი სცენარი. ამას, უბრალოდ, იმიტომ ვსაუბრობ და თანაც პირველად თქვენი გაზეთის საშუალებით, რომ არ მინდა, რომ ეს ასე მოხდეს.

**– რას ნიშნავს პრეზიდენტის მხრიდან იმის დაკონრეტება, რომ 26 მაისს პარლამენტის სხდომა ქუთაისში გაიმართება? საკონსტიტუციო ცვლილებებს გეგმავს?**

– ეს სხვა რამეს ნიშნავს: არ არის გამორიცხული ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ეს ბიუჯეტის გამო არ უნდა მოხდეს. ეს ლოგიკურია. იმიტომ, რომ ბიუჯეტი არჩევნებისთვის სჭირდებათ. ამიტომ, ვფიქრობ, ბიუჯეტს პარლამენტი დეკემბერში მიიღებს ისე, როგორც შეთანხმებულია. მაგრამ არის რესურსი, რომელიც დაკავშირებულია მეშვიდე მინისტრის ცვლილებასთან. ექვსი მინისტრი უკვე შეიცვალა და მეშვიდე მინისტრის ცვლილება იწვევს მთავრობისადმი ნდობის საკითხს. ეს რესურსი არსებობს. თუ საჭირო იქნება, მაშინ მეშვიდე მინისტრის შეცვლის გამო მთავრობის ნდობის საკითხის დაყენებამ შეიძლება მთავარობას პარლამენტი გადააყოლოს, და რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს, ეს შესაძლებელია. ნახეთ განცხადებები: ერთი მხრივ სააკაშვილი იძახის, რომ 26 მაისს იქნება პარლამენტის სესიაო, მეორეს მხრივ, ნაციონალების ლიდერები იძახიან ვადამდელი არჩევნები გამორიცხულიაო. სწორია, აბა, რა უნდა თქვან, ვგეგმავთ ნდობის არგამოცხადებას მთავრობისთვისო?! სწორია რასაც იძახიან. აშკარაა, რომ ნაცილონალები ჯერაც არ არიან ჩამოყალიბებული. მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატთა რიცხვის 190-მდე გაზრდა ინიცირებულია, ესეც შეიძლება არ იქნეს მიღებული. იმიტომ, რომ კაცმა არ იცის, თუ ივანიშვილის პარტიებს მართლაც ექნებათ სერიოზული შანსი, რომ უმრავლესობით მოვიდნენ, შეიძლება „ქრისტიან-დემოკრატები“ და „ახალი მემარჯვენეები“ საერთოდ აღარ დასჭირდეთ და თქვან, რა საჭიროა დეპუტატების 190-მდე გაზრდაო.

**– ანუ სააკაშვილმა შეიძლება ახლები და გიორგი თარგამაძე გადააგდოს?**

– რატომაც არა. ესენი სჭირდება იმ შემთხვევაში, რომ ითამაშოს დემოკრატიულობანა. მაგრამ, თუ ჩნდება რეალური ოპოზიცია პარლამენტში და საკმაოდ სერიოზული, რატომ დაუთმობს ამ ძალებს ადგილებს, არ ურჩევნია თვითონ იყოს? რატომ მისცეს ეს ადგილები „ქრისტიან-დემოკრატებს“, მით უფრო – „ახალ მემარჯვენეებს“. ქრისტიან-დემოკრატები კიდე შეიძლება მთლად ვერ ამოაგდოს იმიტომ, რომ ამდენი ხანი იმისთანა პიარი უკეთდებოდა და თურმე იმისთანა სტაბილური ამომრჩეველი ჰყოლია, რომ ახლა ძნელია ასე უცებ ჯვარი დაასვა. „ახალი მემარჯვენეები“ შეიძლება სულაც არ იყოს საჭირო. ახლები საჭირო იყვნენ მანამ, სანამ ივანიშვილი გამოჩნდებოდა.

**– ივანიშვილს რომ სოლიდური კაპიტალი აქვს, ცნობილია, თუმცა ხელისუფლების მმართველმა გუნდმაც სოლიდური კაპიტალი დააგროვა. ზოგი ფიქრობს, რომ არც ისე მარტივი იქნება მილიარდერი ივანიშვილის პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა. მმართველ ნაციონალებს ერთობლიობაში ივანიშვილზე მეტი ფული შეიძლება ჰქონდეთ და თუ მოინდომეს, ივანიშვილს გეგმებს ჩაუშლიანო.**

– კაცმა არ იცის, ამათ ერთობლიობაში რამდენი ფული აქვთ. ვეჭვობ, რომ ამდენი ჰქონდეთ. მაგრამ რომც ჰქონდეთ ერთობლიობაში, ეს სხვა რამეა. ამ ერთობლიობაში ყველას თავისი შეხედულებები აქვს და ყველას უნდა, სხვამ უფრო მეტი დახარჯოს. ეს კი გარკვეულ უკმაყოფილებას აჩენს. ივანიშვილი თუ დახარჯავს, თავის ფულს დახარჯავს. როცა ერთობლიობაზეა ლაპარაკი, ნუ დაგვავიწყდება, რომ ურთიერთმოტყუებისა და ურთიერთგადაგდების ეს ეფექტი მუშაობს.

**შორენა კოწოწაშვილი**